პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 68 (7629)

8 აპრილი,
კვირა,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერში:

სპორტულ ბაზებს — მაქსიმალური ყურადღება (მე-2 გვ.)

შეგვწევს ძალა ძადილისა (მე-2 გვ.)

პირველი ლიგის დიდი საფეხბურთო მარათონი (მე-3 გვ.)

სტუმრები სამაგალითონი იყვნენ (მე-4 გვ.)

ინფორმაცია, ინფორმაცია... (მე-4 გვ.)

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

6 აპრილს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეკონომიკის განყოფილების კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ე. კ. **სმირნიცკი**, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ინსპექტორი ვ. ვ. **ბაკატინი**.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“ და მის შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად;

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს 1983 წლის საქმიანობის ანგარიში და პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. **შევარდნაძემ**.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოხსენება მეორე საკითხზე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში ანგარიშგება-არჩევნების შედეგების შესახებ ინფორმაციასთან ერთად, წინასწარ დაუგზავნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებსა და წევრობის კანდიდატებს, სარევიზიო კომისიის წევრებს, რესპუბლიკის ყველა პარტიულ კომიტეტს გასაცნობად. ამიტომ პლენუმზე იგი არ წაუკითხავთ.

დღის წესრიგის გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატი ტ. ვ. **როსტიაშვილი**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. **ქართველიშვილი**, ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა მერგოლეური, სოციალისტური შრომის გმირი ვ. გ. **მეუნარგია**, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. **გაბუნია**, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელი ვ. ი. **არაბიძე**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ე. ა. **ხეხნიაშვილი**, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ა. **ადლეიბა**, ჯავის რაიონის კვაისის ტყვია-თუთიის მადანთსამმართველოს მბურღავი პ. ა. **ნანიევი**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. **პატიაშვილი**, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ვ. მ. **არხიპოვი**, საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. რ. **პაპუნიძე**, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. **დვალიშვილი**, საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. მ. **დათიაშვილი**, ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკის მუშა ნ. გ. **ჩოგოვაძე**, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. ე. **ხაბეიშვილი**, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ჯ. ნ. **ჩარკვიანი**, საქართველოს კომპარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველი მდივანი მ. ა. **მეზვრიშვილი**, საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე თ. ი. **მოსაშვილი**, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. დ. **გულუა**, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. **სირაძე**, საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ო. გ. **თენეიშვილი**, საქართველოს სსრ პროკურორი ა. მ. **ბარაბაძე**, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი ვ. ი. **პისარევა**.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილება რაიონში დიდძალი დატაცებისა და ბოროტმოქმედების დაშვების, ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოთა ავტორიტეტის შემლახველი მცდარი მოქმედებისათვის ნ. ს. ბუჩუკურის (პარტიის სიღნაღის რაიკომის ყოფილი პირველი მდივანი) სკკპ რიგებიდან გარიცხვის შესახებ.

7 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა განაგრძო მუშაობა.

განახლდა კამათი განსახილველ საკითხებზე: კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. პ. **ხოფერია**, თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორი ზ. დ. **ჩიგაძე**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საინფორმაციო სააგენტოს დირექტორი თ. გ. **სტეპანოვი**, საქართველოს კომპარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. **ლომაძე**, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი შ. გ. **ნიშნიანიძე**, სსრ კავშირის საბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველი ვ. ა. **პატეიშვილი**, საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნ. ო. **ნადარაია**, საქართველოს კომპარტიის ქალაქ თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი კ. ვ. **კაპანაძე**, ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე ბ. ი. **ხაჩიძე**, ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთომამდიდრებელი კომბინატის დირექტორი ა. ვ. **ჭანტურია**, საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომის პირველი მდივანი გ. ი. **პატიაშვილი**.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. **შევარდნაძემ**.

პლენუმის დროს თითოეულმა მისმა მონაწილემ კონკრეტული წინადადებანი წამოაყენა პარტიული მუშაობის სტილისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1984 წლის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების შესაბამისად. ეს წინადადებანი აისახა განხილულ საკითხებზე პლენუმის მიერ მიღებულ დადგენილებებში, „მართვის სისტემის სრულყოფისათვის, ეკონომიკური მუშაობის დონის ამაღლებისა და რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“ და „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფისათვის მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა ორგანიზაციული და პოლიტიკური უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ღონისძიებათა დამტკიცებულ 1984-1985 წლების გეგმაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც პრინციპულობის, პარტიული და სამეურნეო ცხოვრების უაღრესად საჭირბოროტო საკითხებზე საქმიანი აზრთა გაზიარების, გულახდილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, ცხადყო ყოველი მისი მონაწილის ღრმა დაინტერესება რესპუბლიკის წინაშე მდგომი დიდი და პასუხსაგები ამოცანების გადაწყვეტით. (საქინფორმი).

ღირსეული მეტოქე

ბევრს არ გაკვირვებია ირინა ლევიტინას გამარჯვება პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში. მას თავიდანვე წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, ამბობდნენ: თუ ლევიტინამ მეოთხედ და ნახევარფინალურ მატჩებში შეძლო ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. ალექსანდრიას დამარცხება, სემიონოვა მას ვერ გაუმკლავდებაო. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც უფრო სემიონოვას შეუპოვრობის სჯეროდათ, ვიდრე ლევიტინას ერუდიციისა.

ლევიტინამ თავიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და ორი ქულით დაწინაურდა, მიუხედავად ამისა, სემიონოვა თავგამოდებით იბრძოდა და ამ სპრინტერულ მატჩში თითქმის შეუძლებელი გააკეთა: ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მეტი ვეღარ შეძლო.

აი, ამ ორთაბრძოლის „კარდიოგრამა“: 0,5:0,5, 1,5:0,5, 2,5:0,5, 3:1, 3,5:1,5, 3,5:2,5, 4:3, 4:4, 4,5:4,5, 5,5:4,5, 6:5, 7:5 (+4—2=6).

ირინა ლევიტინა (დაიბადა 1954 წ. 8 ივნისს ლენინგრადში) პირველად ითამაშებს მატჩს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. იგი ღირსეული მეტოქე იქნება. მას მდიდარი და მრავლისმეტყველი საჭადრაკო ბიოგრაფია აქვს. ოთხჯერ (1971, 1978, 1979, 1980 წწ.) იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, ორჯერ (1972, 1974 წ.) ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული, საერთაშორისო დიდოსტატია დღიდან ამ წოდების შემოღებისა (1976 წ.), 1972 წლიდან მონაწილეობს ქალთა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში. 1975 წელს პრეტენდენტთა ფინალურ მატჩამდეც მივიდა.

მაია ჩიბურდანიძე და ირინა ლევიტინა ბოლოს 1980 წელს შეხვდნენ ერთმანეთს სსრ კავშირის ჩემპიონატში. პარტია მაიამ მოიგო.

უდავოა, რომ ჩიბურდანიძე—ლევიტინას მატჩი, რომელიც აგვისტოში უნდა დაიწყოს, უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. ამჟამად ორივე დიდოსტატი თავისი შემოქმედებითი და სპორტული მიღწევების მწვერვალზე იმყოფება.

თენგიზ გიორგაძე.

• • •

სურათზე: ირინა ლევიტინა.
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

ფსიქოლოგიური სიმტკიცის შემოწმებაც

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 7 აპრილი. 72.300 მაყურებელი.

„დინამო“ (თბილისი)	0:3	„დინამო“ (კიევი)
ქანთარია		ჩანოვი
გაიგიძე		ბესონოვი
ჩივაძე		ბალტაჩა
თევზაძე		ჟურავლიოვი
არზიანი		დემიანენკო
ბარათაშვილი		ლოზინსკი
სვანაძე	38 წთ. ბურიაკი	ბურიაკი
სულაქველიძე	45 წთ. ბურიაკი	ბალი
ჟვანია	66 წთ. ბესონოვი	ხლუსი
ცაავა		იაკოვენკო
შენგელია		ბლოხინი

46 წთ. ბარათაშვილის ნაცვლად სიჭინავა, 67 წთ. იაკოვენკოს ნაცვლად ზავაროვი, 69 წთ. ჟვანიას ნაცვლად გურული, 85 წთ. ხლუსის ნაცვლად მიხაილიჩენკო.

მსაჯი: ანატოლი ხორლინი (მოსკოვი)

კუთხურები: 7:3 (2:1)

დაჯარიმდნენ: თბილისელები — 7 (3), კიეველები — 17 (8).

კარში დარტყმა: 12:19 (8:12), ზუსტი დარტყმა 1:6 (1:4), დარტყმა საჯარიმო მოედნიდან: 8:7 (4:6).

(იხ. მე-4 გვ.).

დღეს, 8 აპრილს, თბილისის ყველა სპორტული ბაზა გელით ჯანმრთელობის დღესასწაულზე!

კაცობრიობას ნატვრის თვლები რომ დაურიგო და რამდენიმე სურვილის უფლება მისცე, მისი დიდზე დიდი უმრავლესობა პირველ რიგში ჯანმრთელობას ინატრებს. ვერც გაამტყუნებ — ადამიანი კეთილი საქმეების საკეთებლადაა ამქვეყნად მოსული, მრთელი ჯანი კი ყველა კარგი საქმის უტყუარი საფუძველია. მაგრამ ნატვრის თვალი ხომ ზღაპრების მუდმივი „პერსონაჟია“ და ჩვენ, რეალურ პერსონაჟებს, არაფერში გამოგვადგება. ჯანმრთელობის უშრეტ წყარო-საფუძვლად განგებამ ადამიანებს რეალური ნატვრის თვალი — ფიზკულტურა და სპორტი უბოძა. პოდა, შენც, ჩვენი გაზეთის მკითხველო, მიიღე და შეიფერე ეს ძვირფასი საჩუქარი, უმეგობრე და ისიც ბოლომდე გიერთგულებს.

(იხ. მე-4 გვ.).

მოდით, ვნახოთ ბაზები...

მძლეოსნებს ისევ უჭირთ

ჩვენი ქალაქის მძლეოსნურ მანეჟს ზამთრის პერიოდში კარგად იყენებენ ამ სახეობის წარმომადგენლები, მაგრამ დგება გაზაფხული და მასთან ერთად ჩნდება თავსატეხიც: სად ივარჯიშონ თბილისელმა მძლეოსნებმა საზაფხულო სეზონის განმავლობაში, სად ჩაატარონ შეჯიბრებები? წლეულს ეს საკითხი, იმის გამო, რომ რესპუბლიკაში საუკეთესო „დინამოს“ სტადიონის სარბენ ბილიკებს სრული რეკონსტრუქცია სჭირდება, ალბათ პრობლემად გადაიქცევა: თბილისის დანარჩენი ღია მძლეოსნური ბაზებიც გვარიან შეკეთებას საჭიროებს.

სამი წლის წინათ, როდესაც სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონზე რეზინისსაფარველიანი, ე. წ. „რეზდორის“ სარბენი ბილიკების დაგება დაიწყეს, ყველაზე მეტად ინსტიტუტის და იქვე მდებარე მძლეოსანთა უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის მძლეოსნებმა გაიხარეს: სტადიონის მდებარეობა და ახალი სარბენი ბილიკები საშუალებას მისცემდათ სავარჯიშოდ შორს აღარ წასულიყვნენ. გაიხარეს მტყორცნელებმაც, რომელთაც შეჰპირდნენ, რომ იქ ვარჯიშის ნებას დართავდნენ (ისინი ხომ მუდამ საწვრთნელი ადგილის ძიებაში არიან). მაგრამ მძლეოსანთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა: წვიმის მოსვლისთანავე სტადიონის ბილიკებზე ისეთი გუბეები დადგა, ვარჯიშის ჩატარებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ყველაზე უარესი ის იყო, რომ გუბეებში ჩამდგარი წყალი არ იწრიტებოდა. სპორტსმენებს მისი გაშრობისათვის უნდა ეცადათ. ტრესტ საქსპორტმშენის ცხაკაიის № 3 სპეციალიზებული სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშაკებმა, მართალია, რიხიანად კი განაცხადეს, რომ კარგად იციან თავისი საქმე, მაგრამ ბევრი საჭირო „წვრილმანის“ გათვალისწინება დავიწყებოდათ. მართალია, სამუშაოთა დამთავრება კოკისპირულ წვიმებს დაემთხვა, მაგრამ სარბენი ბილიკების მდგომარეობის გაუარესებაში მშენებელთა „წვლილიც“ არის. საქმისათვის რომ ეშველა, ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა უფრო წინდახედულად ემოქმედა. 1982 წლის ნოემბერში სტადიონს ეწვია კომისია. მძლეოსნობის გამოცდილი სპეციალისტების მიერ შედგენილ აქტში ჩაიწერა ყველა ის შენიშვნა და რეკომენდაცია, რომელიც მშენებლებს სტადიონის მძლეოსნური სექტორის ხელახალი რეკონსტრუქციის დროს უნდა გაეთვალისწინებინათ. საქმეს ამჯერად ხელი მოჰკიდეს იმავე ტრესტის № 1 სარემონტო-სამშენებლო კანტორის (ყოფილი უფროსი ო. ახსაბაძე) მუშაკებმა, სამუშაოები გასული წლის გაზაფხულზე დასრულდა, მაგრამ დახეთ საოცრებას, რამდენიმე თვის შემდეგ სტადიონზე ვარჯიში კვლავ შეუძლებელი გახდა (მდგომარეობა დღემდე არ შეცვლილა): მართალია, მშენებლებმა გრუნტი ასე თუ ისე მოასწორეს, მაგრამ, როგორც ჩანს, გულიანად არ უმუშავიათ. იმის გამო, რომ რეზინის ფილებიც უხეიროდ დააგეს, ბილიკი მწყობრიდან გამოვიდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „რეზდორის“ ბილიკი ძალზე მგრძნობიარეა ბუნებრივი პირობების ცვლილების მიმართ, ამიტომ მისი დაგება განსაკუთრებულ სიზუსტეს და გულმოდგინებას მოითხოვს. მშენებლებმა სხვა შეცდომებიც დაუშვეს. გაუმართლებელი იყო ბილიკების შიდა მხარეს რკინის მილის ჯებირის შემოვლება, თანაც არმატურის წვეტიანი ნაჭრებით გამაგრება (შედუღება). ახლა ამ სტადიონზე სწრაფი სირბილი სარისკოა. არც სადრენაჟო არხი გამოირჩევა ხარისხით (გადაუხურავია და ზოგიერთ ადგილას უკვე ინგრევა). ყველაზე დიდი კურიოზი ის არის, რომ ამ სტადიონზე, სადაც სირბილის დროს კაცს უამრავი წინაღობა შეხვდება, მძლეოსნობის კლასიკური დისტანციის, 3000 მეტრზე წინაღობებით და 110 მეტრზე თარჯრბენის ჩატარება შეუძლებელია, რადგან ასეთი დისტანციებისათვის საჭირო სექტორის ზოგიერთი ნაწილი, კერძოდ, წყლიანი ორმოს ირგვლივ და 110 მეტრზე თარჯრბენის სტარტზე რეზინის ფილები საერთოდ არ არის დაგებული, მოუწყობელია ბირთვის კვრის სექტორიც, შუბის მტყორცნელებმა კი გამორბენისათვის საჭირო ბილიკი თვითონ „გაიყვანეს“. სტადიონს შტატით გათვალისწინებული ერთი მუშაკი უვლის. მართალია, ინსტიტუტის ზოგიერთი კათედრა საფეხბურთო მოედნის თუ სარბენი ბილიკების ერთგვარი შეფია, მაგრამ მათი ინტერესები ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირდება. მაგალითად, ფეხბურთელებმა მოედნის ატალახებულ ადგილებზე სახტომი ორმოდან (?!) ამოღებული სილა მოაბნიეს, რის გამოც მძლეოსნები, ტრავმის მიღების შიშით, იძულებულნი გახდნენ ორმოში დარჩენილი სილა ერთ მხარეს მიექუჩებინათ და ისე ევარჯიშათ. მოედანზე ფეხბურთელების გარდა რეგბისტებიც ხშირად ვარჯიშობენ. ისინი წვიმიან ამინდში ბილიკებზეც გადმოდიან და რასაკვირველია, ატალახებენ.

სარბენი ბილიკების ავარიული მდგომარეობის გამო ყველაზე დიდ გასაჭირში ფიზკულტურის ინსტიტუტის მძლეოსნობის კათედრის თანამშრომლები არიან. აკი შემოგვჩივლეს კიდეც, ახლა მანეჟში ვარჯიში უკვე შეუძლებელია და არ ვიცით, მეცადინეობები სად ჩავატაროთო. იქნებ გგონიათ, აქამდე გულხელდაკრეფილები ისხდნენ. არა, მშენებელთა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, რომ ყველაზე უკეთ სწორედ მათ მიერ დაგებული მძლეოსნური სექტორის ზოგიერთი ნაწილი გამოიყურება, მძლეოსნობის კათედრას აქვს თავისი მეთოდური კაბინეტიც, სტენდებიც, სასწავლო ფილმებიც და სხვა დამხმარე საშუალებებიც, მაგრამ სტადიონზე ერთ პლაკატს ან ლოზუნგს ვერ ნახავთ. მართალია, ტერიტორია კარგადაა შემოღობილი და არც სპორტული ინვენტარი აკლია, მაგრამ უვარგის ბაზას კარგი აღჭურვილობაც ვერ უშველის.

რა თქმა უნდა, ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალმა ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რომ ეს სტადიონი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენთა მომზადების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზად უნდა იქცეს. როგორც ინსტიტუტის პრორექტორმა თამაზ სინჯიკაშვილმა გვაცნობა, ამჟამად „საქსპორტმშენის“ საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები მალე დაამთავრებენ სტადიონისა და მის ახლომდებარე სხვა სპორტული ბაზების, ჩოგბურთის კორტების, ხელბურთის მოედნის და საცურაო აუზის რეკონსტრუქციის გეგმის შემუშავებას, შემდეგ კი საქმეს მშენებლები შეუდგებიან.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე წლეულს უკვე რამდენიმე საერთაშორისო ამხანაგური საფეხბურთო მატჩი გაიმართა. მართალია, სტადიონის აღჭურვილობა თანამედროვე მოთხოვნებს ვერ პასუხობს, მაგრამ თანამშრომლებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ თავი არ შეერცხვინათ. სტადიონის დირექტორი ლავრენტი ძიძიგური ერთ დროს თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა გუნდში თამაშობდა, სპორტის ოსტატია და კარგად იცის სპორტის ყადრი. ამჟამად აქ საგაზაფხულო სპორტული სეზონისათვის მოსამზადებლად გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს: არემონტებენ და ღებავენ ტრიბუნებს, ასუფთავებენ სტადიონის ტერიტორიას, მალე მწყობრში ჩადგება ახალი გასახდელები. სტადიონის მუშაკებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამოქალაქო ნაგებობათა თბილისის დისტანციის მშენებლებიც (სამუშაოთა მწარმოებელი თ. წამალაშვილი) ეხმარებიან. რემონტის დამთავრების შემდეგ მომსახურე პერსონალი თავის ადგილს მიუჩენს სტენდებს, ლოზუნგებს და პლაკატებს. და მაინც: სტადიონის მუშაკები, ამ სპორტული ბაზის გადაქცევას მშრომელთა გაჯანსაღების და სპორტსმენთა დაოსტატების სრულფასოვან ცენტრად მაინც ვერ შეძლებენ. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია სტადიონის მძლეოსნური სექტორის სავალალო მდგომარეობა. როგორ გინდა ალაგ-ალაგ დამსკდარ, ქვასავით გამაგრებულ ზედაპირს სარბენი ბილიკები უწოდო. ამის შემდეგ არცაა გასაკვირი, რომ სტადიონის არენდატორთა რიცხვში მძლეოსანთა ერთი ჯგუფიც არ ირიცხება. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის აზრით, მსოფლიოში სულ რამდენიმე სტადიონს აქვს ასეთი ბრწყინვალე ბუნებრივი მდებარეობა. სწორედ ამას გამო, ამას წინათ ზემდგომი ორგანოების წინაშე დაისვა საკითხი „ლოკომოტივის“ სტადიონის მთლიანად მძლეოსნობის ბაზად გადაქცევის შესახებ, რაც იმედია დადებითად გადაწყდება. ამჟამად ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საპროექტო ინსტიტუტის თანამშრომლები სტადიონის გენერალური რეკონსტრუქციის პროექტზე მუშაობენ. ამ სპორტულ ბაზას, თუკი სათანადო ყურადღება მიექცევა, შეუძლია გაცილებით დიდი ამოცანები გადაწყვიტოს ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და სპორტის განვითარების საკეთილდღეოდ.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამჟამად ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მძლეოსნებს ყველაზე უკეთ განათლების სამინისტროს სპეციალიზებული სპორტული სკოლის სტადიონზე შეუძლიათ ივარჯიშონ. ეს სპორტული ნაგებობა საკავშირო მასშტაბითაც კი უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს. მისი ოთხასმეტრიანი ოვალი მთლიანად გადახურულია, მინდორი კი, რომელზედაც 35-ე საფეხბურთო სკოლის მოწაფეები ვარჯიშობენ, ღიაა. მოსაწონია სარბენი ბილიკებიც. სხვათა შორის, აქ დაგებულ „რეზდორის“ ფილებს ყველა კომისია იწონებს. როგორც ჩანს, ქალაქის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო უბნის (უფროსი ნ. პაშიკოვი) მუშაკებს კეთილსინდისიერად უშრომიათ. სამუშაოთა მწარმოებელი რ. ზაქარეიშვილი მოსკოვშიც კი იყო მივლინებული, რეზინის ფილების დაგების საიდუმლოების გასაცნობად. ერთი სიტყვით, სადაც მონდომებაა, გაწეულ შრომას სასურველი შედეგი მოაქვს.

ცხენებიც შევიცოდოთ

საქართველოს სპორტკომიტეტის თბილისის ცენტრალური საცხენოსნო ბაზა. აქ არა მარტო დედაქალაქის, არამედ რესპუბლიკის ნაკრები გუნდიც ემზადება. ასე რომ, რჩეულ ცხენოსანთა კოლექტივს წლის მანძილზე რამდენჯერმე უწევს თბილისში შეკრება. მთავარია ისიც, რომ დახურული მანეჟი მთელს რესპუბლიკაში მხოლოდ თბილისის იპოდრომზეა. მაგრამ ახლა საგრძნობლად დათბა და მხედრები ძირითადად ცის ქვეშ ვარჯიშობენ. სამწუხაროდ, ღია არენა ჯერაც მოუწესრიგებელია, შესაცვლელია საფენი, გასაყვანია სარწყავი წყალი (რომ გრუნტი მუდამ რბილი იყოს და ცხენმა ტრავმა არ მიიღოს). ამაზე ახლახან რესპუბლიკის სპორტკომიტეტის კოლეგიის სხდომაზეც იმსჯელეს.

რედაქციისაგან: რეიდმა დაგვარწმუნა, რომ თბილისის ბევრი სპორტული ბაზა დღემდე მოუწესრიგებელია. რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ მიზნად დაგვისახა მუშაობის სტილის რადიკალური გარდაქმნა ფიზკულტურასა და სპორტში. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სპორტულ ბაზებს ენიჭება. ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს გაზეთი კვლავ დაუბრუნდება.

„ლელოს“ ბრიგადა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 67.

ვითომ გულგრილობის ღირსია?

ანუ ფიქრები სპორტის სახეობაზე, რომელსაც დიდი ხანია აღარ ვწყალობთ

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ან იქნებ არც სამწუხაროდ და არც საბედნიეროდ, უბრალოდ, ჩვეულებრივად და ტრადიციულად ახლაც არსებობს სპორტის პოპულარული ანუ ეგრეთ წოდებული მოდური სახეობები და სახეობები, რომლებსაც მაინცდამაინც არ ვწყალობთ, არ გვესიმპათიურება. სამწუხაროდ (ახლა კი ნამდვილად სამწუხაროდ), ამ უკანასკნელთა სიაშია ფრენბურთი. სამწუხაროდ იმიტომ, რომ არც ობიექტურად, არც მისი წარსულის გათვალისწინებით სპორტის ეს სახეობა არა და არ იმსახურებს იმგვარ გულგრილ დამოკიდებულებას, როგორსაც ჩვენ ვიჩენთ მის მიმართ და, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, არც იმ რანგსა და სიმაღლეს, დღესდღეობით მას რომ უკავია.

ქართულ ფრენბურთს ჰქონდა ჭეშმარიტი ოქროს ხანა, წლები, როდესაც თბილისის „ბურევესტნიკი“ უმაღლეს ლიგაში თამაშობდა, ქართული გუნდის ღირსებას კი იცავდნენ ნიჭიერი ფრენბურთელები ვაჟა კაჭარავა, დავით გოცირიძე, თამაზ კუჭავა, კუკური მუსხელიშვილი, როლანდ ლონდაძე... მაგრამ ყველა აღმართს დაღმართი მოჰყვებაო, ნათქვამია. ვერც ფრენბურთი გადაურჩა ამ საყოველთაო ცხოვრებისეულ კანონს და დაიწყო დაღმასვლა. რა თქმა უნდა, არც ამ დაღმასვლაშია რამე განსაცვიფრებელი. გულსატკენი და საგანგაშოა მხოლოდ ძალზე ხანგრძლივი, ოცწლიანი პროცესი, წლები, როცა საქართველოს უმაღლეს ლიგაში გუნდი აღარ ჰყავს და ვერც მაინცდამაინც პერსპექტივით დაიკვეხნის.

ქართული ფრენბურთის დღევანდელობაზე, მის ზოგიერთ პრობლემაზე ჩვენი გაზეთის მკითხველს ესაუბრება წარსულში სახელოვანი ფრენბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ფრენბურთელთა გუნდ „მშენებლის“ უფროსი მწვრთნელი **ვაჟა კაჭარავა:**

სპორტის ნებისმიერი სახეობა თავისი ცხოვრების წესით, განვითარების გზითა და საშუალებებით თავად ცხოვრებას, მის რომელიმე უბანს ჰგავს. მე, მაგალითად, სპორტის თითოეული სახეობის განვითარება ძალზე მაგონებს სახალხო მეურნეობის, ინდუსტრიის განვითარებას. ორივესთვის ერთნაირად საჭიროა სამუშაო ადგილი, სპეციალისტი, იარაღი, მასალა-ნედლეული, შრომის ორგანიზაცია, მატერიალური და მორალური სტიმული. რა თქმა უნდა, არც ფრენბურთია გამონაკლისი და იმის მიზეზს, რომ ჩვენ ასე ჩამოვრჩით ფეხბურთს, კალათბურთს, ჭადრაკს, წყალბურთს, რეგბის თუ სხვა სახეობებს, იმ ჩამოთვლილი პირობების მოუგვარებლობაში, ზოგჯერ კი სულაც არარსებობაში ვხედავ. ჩამოვრჩით კი, თუ მეტით არა, ოცი წლით მაინც.

ფრენბურთის განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთიმეორეზე დამოკიდებული, რომ ხშირად მთავარი მიზეზის მოძებნა ძნელდება კიდეც. სწორედ ამაშია ჩამორჩენის ღრმა ანალიზის სირთულე. და მაინც, ალბათ შეიძლება ითქვას, რომ იმ პირობებიდან, რომელთა შექმნა და მოგვარება უპირველეს ამოცანად მიმაჩნია, უმთავრესია საგანგებო ბაზები ანუ სამუშაო ადგილი და მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები. კარგად მესმის, ორიგინალურს არაფერს ვამბობ — ეს ის სიძნელეებია, სპორტის ბევრი სახეობის განვითარებას რომ აფერხებს. ცუდად ნუ გამიგებენ სხვა სახეობებში მომუშავე ჩემი კოლეგები, მაგრამ, თუ მათ შორის ვინმე შავ დღეშია, ესენი ფრენბურთელთა მწვრთნელები და ფრენბურთელები არიან.

დავიწყებ იმით, რომ თბილისში, ესე იგი საქართველოში, არ არსებობს დარბაზი, სადაც დღედაღამ გაბმული იქნება ფრენბურთის ბადე (მკითხველი სწორად გამიგებს: ფრენბურთის ბადე არავისთვის თვითმიზანი არ არის. ლაპარაკია ფრენბურთის სპეციალურ დარბაზზე). თავი რომ დავანებოთ „დიდ მატერიებზე“ საუბარს, ესე იგი, არაფერი ვთქვათ გაცილებით მეტი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, რის საშუალებასაც სპეციალური ბაზა იძლევა, მოვიყვან ძალზე პარადოქსულ, თითქმის უპრეცედენტო ფაქტს: არც ერთ ახალაგებულ დარბაზში, ჩვენში კომპლექსურს რომ ეძახიან, არ არის ფრენბურთის მოედანი. უფრო მეტიც: მშენებლებს თუ ორგანიზატორებს ბადის გასაჭიმი მოწყობილობის დამონტაჟებაც გამორჩენიათ მხედველობიდან. ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა სპეციალიზებული საფრენბურთო სპორტული სკოლაც ფაქტიურად უპატრონოდ არის მიტოვებული.

საქართველო უმწვავეს კრიზისს განიცდის ახალგაზრდა მწვრთნელ-სპეციალისტთა მხრივაც. ჩვენში მწვრთნელთა საშუალო ასაკი 45-50 წელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მწვრთნელების წასვლის შემდეგ გაძნელდება თქმა, ვინ იმუშავებს მათ ადგილზე. ამ ხანდაზმულ (თამამად შეიძლება მათ ასე ვუწოდოთ) სპეციალისტთა შორისაც ბევრი როდია ისეთი, დროისა და ცხოვრების მოთხოვნებს რომ პასუხობდეს. თუ მკითხველისთვის საინტერესოა, აქვე ჩამოვაყალიბებ ჩემ კრედოს: ფრენბურთის მწვრთნელი უნდა იყოს თავის საქმეზე შეყვარებული ძლიერი, დადებითი პიროვნება, მაღალი კვალიფიკაციის, ფართოდ ერუდირებული სპეციალისტი, მოწოდებით პედაგოგი, ორგანიზატორი, დიპლომატი, მოქალაქე. თუ არ გვეყოლება ასეთი სპეციალისტები, საერთოდ, სპორტში და, კერძოდ, ფრენბურთში, ძნელია რაიმე შედეგზე ლაპარაკი. სწორედ ამგვარი მწვრთნელების უკმარობაა მიზეზი, საქართველოს გუნდები ბევრს რომ ვერაფერს აღწევენ საკავშირო სარბიელზე. ჰოდა, ამიტომაცაა, რომ ფრენბურთი ჩვენში მაინცდამაინც პოპულარული არ არის. მაღალი შედეგი სპორტში ის ზედნაშენია, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს სპორტის პოპულარობაზე. ამდენად. საქმე გვაქვს ჯაჭვურ პროცესთან — მასობრიობა ხელს უწყობს მაღალ სპორტულ შედეგს, ხოლო სპორტული მიღწევები თავისთავად მასობრიობის ღვრიტა და საფუძველია.

სრულიად მოუგვარებელი გვაქვს სელექციის საკითხები. მოსახლეობის სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს კონკურენცია გავუწიოთ შედარებით დიდ რესპუბლიკებს, ფრენბურთის საკავშირო დონეს. ჩამოვრჩებით ტანმაღალ ფრენბურთელთა რაოდენობის მხრივაც. თქმა არ უნდა, საქმე მარტო სიმაღლე არ არის, ფრენბურთელი სპორტული ტალანტიც უნდა იყოს. ვერ ვუძლებთ შიდა კონკურენციას — ასეთივე მაღალი და ნიჭიერი ახალგაზრდები სჭირდება კალათბურთს, ხელბურთს, წყალბურთს.

ბევრი პრობლემა ჩამოვთვალე, ზოგზე არაფერი მითქვამს, მაგრამ ისე ნურავინ გამიგებს, თითქოს იმედი მთლად გადაწურული გვქონდეს. უკანასკნელ ხანს ერთგვარი დაინტერესება და გამოცოცხლება მაინც შეინიშნება: განზრახულია სპეციალური ბაზების აშენება და რეკონსტრუქცია პიონერულ ქალაქ „მზიურისა“ და გორკის სახელობის პარკის ტერიტორიაზე, უმჯობესდება მუშაობა რესპუბლიკის საუკეთესო გუნდებთან.

საქართველოს გოგონათა და ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებს აქვთ შანსი მოხვდნენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ფინალში. ვაჟთა საუკეთესო გუნდის „მშენებლის“ წინაშე კი დასახულია ამოცანა, უახლოეს მომავალში უმაღლეს ლიგაში გადავიდეს. ოცდაერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენს გუნდს უმაღლეს ლიგაში არ უასპარეზია. ამიტომ შესაძლოა ამ უკანასკნელი საკითხის ასე პრინციპულად დასმა ბევრ ოპტიმისტსაც კი უტოპიად მოეჩვენოს, მაგრამ ვიცი, ამგვარი მაქსიმალიზმის გარეშე ვერაფერს მივაღწევთ. რაც უფრო მთავარია, მწამს: შეგვწევს ძალა ქადილისა.

საუბარი ჩაიწერა
ნანა ჯოხარიძემ.

ფეხბურთის სეზონი მთელ საბჭოთა კავშირში და საქართველოშიც მარტო ერთხელ როდი მოდის.. რესპუბლიკის ოსტატთა გუნდები თბილისის „დინამოს“ თავკაცობით რიგრიგობით ებმებიან სხვადასხვა მასშტაბის ჩემპიონატებში. ახლა პირველი ლიგის წარმომადგენელთა ჯერიც დადგა, დღეს სტარტს იღებს ახალი გათამაშება, საქართველოს სამი გუნდი იწყებს უშეღავათო ბრძოლას.

წლევანდელი სეზონი ალბათ უჩვეულო იქნება ჩვენი მეორე ეშელონის კოლექტივებისთვის. პირველ ლიგაში ერთდროულად სამი გუნდი საქართველოს ჯერ არა ჰყოლია. რას ნიშნავს ეს? უნდა გვიხაროდეს, თუ თავშეკავებულად შევეგებოთ ამ მართლაც უჩვეულო საფეხბურთო კაზუსს? სოფიზმად არავინ ჩაგვითვლის, თუკი ვიტყვით, რომ კიდეც უნდა გვიხაროდეს და... არც უნდა გვიხაროდეს.

ეს როგორო, გაიოცებს მკითხველი, რომელიც, უეჭველია, ჩვენგან დამატებით საბუთსა და არგუმენტს მოითხოვს.

ვიყოთ გულახდილნი: აბა, ვის შეიძლება უხაროდეს ჯერ კიდევ წინა სეზონში უმაღლეს ლიგაში მყოფი ქუთაისის „ტორპედოს“ ერთი რანგით ჩამოქვეითება და დაბალ ლიგაში მისი გადასვლა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ფეხბურთის დიდი ერუდიცია არაა საჭირო.

მეორე მხრივ, სამი გუნდი — ეს სამი პოტენციური ძალაა, რომელიც შეეცდება პირველ ლიგაში თავისი სტატუსი დაუმკვიდროს ქართულ ფეხბურთს. ერთობლივად და ცალ-ცალკე [illegible] მედგრად იბრძოლებენ დროებით „გაუქმებული“ ადგილის დასაბრუნებლად „მზის ქვეშ“ ანუ უმაღლეს ლიგაში.

ჩვენი სამი გუნდი—ეს თავისებური ტრიადა ჩვენი ფეხბურთისა—იმედით, რწმენით იწყებს თავის ახალ ჩემპიონატს. საკუთარ ძალებთან ერთად ამ რწმენის უტყუარი წყაროა ერთმანეთის მხარიმხარ ყოფნა, რამაც არ შეიძლება გამამხნევებლად და სასიკეთოდ არ იმოქმედოს ერთი საერთო საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლებზე.

დაძაბული ბრძოლა იწყება, წინ საინტერესო საფეხბურთო მოვლენებია. სპორტის მოყვარულებთან ერთად ვულოცავთ ახალი სეზონის დაწყებას ჩვენი პირველი ლიგის გუნდებს, ვუსურვებთ ახალ, დიდ წარმატებებს.

სტარტზეა ჩვენი ფეხბურთის იმედი

I ლიგას საბჭოთა ფეხბურთში „მეორე ეშელონს“ უწოდებენ. რა თქმა უნდა, ესაა ფიგურალური, წმინდა ჟურნალისტური გამოთქმა. რახან არსებობს უმაღლესი ლიგა, პირველი ეშელონიც, უდავოდ, ისაა. მომდევნო, უფრო დაბალი ლიგა, თავისთავად, მეორე ეშელონი იქნება.

ოფიციალური, ნამდვილი სპორტული კლასიფიკაციით, I ლიგას ჩვენს ფეხბურთში სხვადასხვა დროს განსხვავებული სახელები ერქვა. იყო „ბ“ ჯგუფი, იყო II ჯგუფი, „ბ“ კლასი, „ა“ კლასის II ჯგუფი.

საქართველოს გუნდები I ლიგაში

ამ კატეგორიის გუნდები ხან ერთ ჯგუფში იყვნენ თავმოყრილი, ხან—ზონებად, ხანაც ქვეჯგუფებად იყოფოდნენ და ახლა, არქივარიუსის თვალით თუ შეხედავ წარსულ ამბებს, ხეირიანად ვერც გაარკვევ, რომელ გუნდს რა ადგილი დაუკავებია სხვადასხვა პერიოდის შეჯიბრებებში. მაგრამ ახლანდელი I ლიგის საკავშირო გათამაშება უკვე მეთხუთმეტედ იმართება, ამდენად, მან გარკვეული სტაბილურობა და პოპულარობა მოიპოვა ჩვენს ფეხბურთში.

საკავშირო გათამაშებას ფეხბურთში საკლუბო გუნდებს შორის საფუძველი ჩაეყარა 1936 წელს. თუ ვინ როგორ თამაშობდა ჩვენში ფეხბურთს მაშინ, ეს ხეირიანად არავინ იცოდა. ამიტომ „ა“ ჯგუფში თავი მოუყარეს მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის გუნდებს, თბილისის „დინამო“ კი „ბ“ ჯგუფში გაამწესეს. ამდენად, თბილისის „დინამო“ საქართველოს პირველი გუნდია, რომელიც ეგრეთ წოდებულ მეორე ეშელონში გამოდიოდა, თუმცა, დინამოელებმა აქ მხოლოდ მცირე ხანს დაჰყვეს (სულ რაღაც ერთი გაზაფხული) და იმავე წლის შემოდგომიდან უძლიერესი გუნდების საკავშირო ჩემპიონატების მუდმივი, უცვლელი მონაწილენი გახდნენ.

შემდეგი გუნდები, რომლებიც საქართველოდან გამოდიოდნენ „ბ“ ჯგუფში (ახლანდელი I ლიგა), იყვნენ თბილისის „ლოკომოტივი“ და ბათუმის „დინამო“. ეს იყო 1939 წელს. მაშინდელ ვათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა მოსკოვის „კრილია სოვეტოვმა“, ხოლო მეორე — თბილისის „ლოკომოტივმა“. შემდგომ სეზონში ორივე გუნდმა „ა“ ჯგუფში გადაინაცვლა, ბათუმის დინამოელებმა კი მაშინ მე-14 ადგილი დაიკავეს.

შემდგომში თბილისის „ლოკომოტივი“ ხელახლა ჩამოყალიბდა, 1964 წლიდან კვლავ დაიმკვიდრა ადგილი I ლიგაში, სადაც ცვალებადი უპირატესობით გამოდიოდა. 1961 წელს ლოკომოტიველებმა ლიგის ერთ-ერთ ზონაში პირველი ადგილი დაიკავეს და პარალელურ ზონებში გამარჯვებულ გუნდებთან ერთად (ქუთაისის „ტორპედო“, ტალინის „კალევი“) კიშინიოვში მონაწილეობა მიიღეს უმაღლეს ლიგაში გადასასვლელ სამთა ტურნირში. მაშინ წარმატება წილად ხვდათ ქუთაისელ ფეხბურთელებს. ისინი უძლიერესთა ლიგაში გადავიდნენ, თბილისის „ლოკომოტივი“ კი 1970 წლამდე I ლიგაში გამოდიოდა.

დიდ წარმატებებს მიაღწია მეორე ეშელონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებებში თბილისის ოფიცერთა სახლის მეტად ძლიერმა გუნდმა. თბილისელმა არმიელებმა არაერთხელ ისახელეს თავი, პირველი ადგილებიც დაიკავეს 1946 და 1952 წლებში, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ 1953 წელს არმიელთა სხვა გუნდებთან ერთად, თბილისელთა ეს ჩინებული კოლექტივიც დაშალეს.

როგორც ზევით ვთქვით, 1961 წელს I ლიგის ზონაში წარმატებით ითამაშა ქუთაისის „ტორპედომ“, შემოდგომით კიშინიოვის „სამთა ტურნირიც“ მოიგო და 1962-70 წლებში უმაღლეს ლიგაში გამოდიოდა. 1971 წლიდან ქუთაისელები კვლავ დაუბრუნდნენ I ლიგას, ათი სეზონი დაჰყვეს იქ და 1981 წელს ხარკოვის „მეტალისტთან“ ერთად ხელახლა მოიპოვეს უმაღლესი ლიგის საგზური.

საქართველოს ახალი გუნდი, რომელმაც I ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, ლანჩხუთის „გურიაა“. 1979 წლიდან ლანჩხუთელი ფეხბურთელები „მეორე ეშელონში“ გამოდიან. ამასთან, შარშანდელ გათამაშებაში მათ პირველ ათეულში დაიმკვიდრეს ადგილი.

დაბოლოს, ბათუმის „დინამო“. ყველას გვახსოვს ამ გუნდის შარშანდელი დიდი წარმატება ჯერ II ლიგის ზონაში, შემდეგ — ზონებში გამარჯვებულთა ფინალურ ტურნირში. თუ 1939 წლის ანალოგიას, მოვიშველიებთ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბათუმის დინამოელებმა კი არ მოიპოვეს I ლიგაში თამაშის უფლება, არამედ დაუბრუნდნენ მას.

I ლიგაში მეტად ძლიერი გუნდებია თავმოყრილი. 1963 წლიდან მოყოლებული აქ ყველაზე მეტჯერ უთამაშიათ „ლოკომოტივს“ (მოსკოვი), „პამირს“ (დუშანბე), „მეტალურგს“ (ზაპოროჟიე), „ნისტრუს“ (კიშინიოვი). ერთხელ, 1980 წელს, აქ გამოდიოდა თვით აღიარებული მოსკოვის „სპარტაკიც“ კი. ამდენად, ეს მეტად პრესტიჟული, სოლიდური შეჯიბრებაა.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სსრ კავშირის პირველ საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის გუნდები, ხოლო „მეორე ეშელონის“ პირველი წარმომადგენელი, რომელმაც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა, თბილისის „დინამო“ იყო. ჩამოვთვლით იმ შვიდ გუნდს, რომლებიც 1936 წლის გაზაფხულზე უძლიერესთა შორის გამოდიოდნენ: „დინამო“ (მოსკოვი), „დინამო“ (კიევი), „სპარტაკი“ (მოსკოვი), ცდკა, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „დინამო“ (ლენინგრადი), „კრასნაია ზარია“ (ლენინგრადი). სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი მოსკოვის „ლოკომოტივი“ ახლა I ლიგაშია, ოდესღაც განთქმული ლენინგრადის „დინამო“ II ლიგამდეც კი ჩამოქვეითდა, ხოლო ლენინგრადის „კრასნაია ზარია“ საერთოდ დაიშალა. ამრიგად, ის გუნდები (პირველი ჩემპიონატის გარდა), რომლებიც ახლა თამაშობენ ან წარსულ წლებში გამოდიოდნენ უმაღლეს ლიგაში, ფაქტიურად ე. წ. „მეორე ეშელონის“ წარმომადგენლები არიან.

I ლიგის ახლანდელ წარმომადგენელთაგან წინა წლებში უმაღლეს ლიგაში გამოდიოდნენ: „ზარია“ (ვოროშილოვგრადი, იგი სსრ კავშირის ჩემპიონიც კი იყო 1972 წელს), „ტორპედო“ (ქუთაისი), „ყუბანი“ (კრასნოდარი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე), „ნისტრუ“ (კიშინიოვი), „ტავრია“ (სიმფეროპოლი), „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „კარპატი“ (ლვოვი), „დაუგავა“ (რიგა).

გიორგი ეჯერელი.

ამასთან დაკავშირებით, რომ დღეს სტარტს იღებს პირველი ლიგის გათამაშება, ჩვენი გაზეთის წარმომადგენელი ეწვია საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს ოსტატთა გუნდების უფროს მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს გიორგი ანთაძეს და სთხოვა მოეთხრო „ლელოს“ მკითხველთათვის თუ როგორ მოემზადნენ ჩვენი გუნდები ამ სერიოზული შეჯიბრებისთვის.

ოსტატ ფეხბურთელთა სამჭედლო

— ჩვენს სამივე გუნდს სერიოზული, მაგრამ განსხვავებული ამოცანები აქვს დასახული. ქუთაისელებმა უნდა იბრძოლონ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის, ლანჩხუთელებმა კიდევ უფრო განამტკიცონ შარშანდელი წარმატება და მაღლა გადაინაცვლონ სატურნირო ცხრილში, ხოლო ბათუმელებმა საფუძვლიანად დაიმკვიდრონ ადგილი იქ, სადაც ისინი წარსულში უკვე გამოდიოდნენ. ყველამ იცის, რომ პირველ ლიგაში ძლიერმა გუნდებმა მოიყარეს თავი, მათ შორის არიან საბჭოთა კავშირის თასის მფლობელებიც და თვით სსრ კავშირის ჩემპიონიც კი. ამიტომ ჩვენმა გუნდებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რათა საკუთრივაც მოიპოვონ წარმატება და თანამემამულეთა მიღწევასაც შეუწყონ ხელი. შესაძლოა ისე მოხდეს, რომ რომელიმე ჩვენი გუნდი რაღაც გარკვეული, კონკრეტული რთული პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს, მაშინ დანარჩენებმა მის უშუალო მეტოქეებთან ისე უნდა ითამაშონ, რომ ერთობლივად გადაჭრან სწორედ ის კონკრეტული და გადაუდებელი ამოცანა.

უმთავრესი ამოცანა დასახულია ქუთაისის „ტორპედოს“ წინაშე. მისი ბედი გვაწუხებს ყველას და რახან ქუთაისელთა ეს ჩინებული კოლექტივი წლიდან წლამდე აწვდის უმაღლესი კლასის ფეხბურთელებს რესპუბლიკის პირველ გუნდს — თბილისის „დინამოს“, ამით პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას ქართული ფეხბურთის წინაშე. გავიხსენოთ ისიც, რომ ქუთაისელმა ფეხბურთელებმა — ს. კუტივაძემ, რ. ძოძუაშვილმა, თ. კოსტავამ, თ. სულაქველიძემ, რ. შენგელიამ და სხვებმა სხვადასხვა დროს სსრ კავშირის ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშეს, ამ კლასის ფეხბურთელები აქ მომავალშიც აღიზრდებიან, ამიტომ საფეხბურთო ქუთაისს მუდამ ესაჭიროება ჩვენი შეუნელებელი ყურადღება.

ქუთაისის „ტორპედოს“ ახლა გამოცდილი ხელმძღვანელობა ჰყავს, რომელმაც ზედმიწევნით კარგად იცის თავისი ქალაქის ბავშვთა და მასობრივი ფეხბურთის ავანჩავანი, იცის როგორ შეავსოს თავისი გუნდის შემადგენლობა პერსპექტიული ფეხბურთელებით.

ქუთაისის „ტორპედომ“ წლეულს ჩაატარა საკავშირო თასის, საკონტროლო შეხვედრები, გუნდი ნაყოფიერად ემზადებოდა ლესელიძის სპორტულ ბაზაზე და თბილისშიც გამართა საერთაშორისო მატჩი, სადაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

ლანჩხუთის „გურიამ“ შარშანდელი სეზონი ძლიერად ჩაატარა, ლიგაში მეცხრე ადგილი დაიკავა და უკან მოიტოვა ძლიერი გუნდები. წლეულს „გურიამ“ კიდევ უფრო მეტი მონდომებით უნდა იბრძოლოს ამ შედეგის გაუმჯობესებისთვის. საამისოდ ძალები მას, უდავოდ, შესწევს.

წინასასეზონო მზადება „გურიას“ ლესელიძეში ჰქონდა. საკავშირო თასზეც ითამაშა და, ჩემი აზრით, ახლა სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია.

ცალკე გვინდა ვისაუბროთ ბათუმის „დინამოზე“. ზემო ლიგაში გადასულ ყველა გუნდს თავდაპირველად უძნელდება გამოცდილ მეტოქეებთან ბრძოლა, გამონაკლისი ალბათ არც ბათუმის „დინამო“ იქნება. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მრავალ ბრძოლაში ნაწრთობი ფეხბურთელები, აგრეთვე, გუნდის ახლადშეძენილი ფეხბურთელები ძალებს არ დაიშურებენ საამისოდ, რომ დებიუტანტის პირობაზე ბათუმის „დინამოს“ საფუძვლიანად განუმტკიცონ ადგილი ლიგაში.

ესაა ჩვენი გუნდების სატურნირო ამოცანები, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ გარდა ამისა არსებობს მთავარი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მიზანი: ახლა, როგორც არასდროს, გვესაჭიროება უმაღლესი კლასის ფეხბურთელები, ტყავის ბურთის ნამდვილი ოსტატები, რომლებიც კვლავაც მოუპოვებენ საქვეყნო სახელს ქართულ ფეხბურთს.

დღეს პირველი ტურის მატჩებია

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი)
„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი)
„დინამო“ (ბათუმი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი)
„ფაკელი“ (ვორონეჟი) — „შინიკი“ (იაროსლავლი)
„ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „ისკრა“ (სმოლენსკი)
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) —„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)
„ზვეზდა“ (ჯიზაკი) — „ირტიში“ (ომსკი)
„პამირი“ (დუშანბე) — „კუზბასი“ (კემეროვო)
„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — სკა (ხაბაროვსკი)
„ტავრია“ (სიმფეროპოლი) —„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
სკა „კარპატი“ (ლვოვი) — „დაუგავა“ (რიგა)

12 აპრილს, II ტურში, საქართველოს გუნდები კვლავ შინ თამაშობენ. ქუთაისელები ღებულობენ კრასნოდარის „ყუბანს“, ლანჩხუთელები — ზაპოროჟიეს „მეტალურგს“, ხოლო ბათუმელები — ვოლგოგრადის „როტორს“.

საგანაცხადო სიები

„ტორპედო“ (ქუთაისი)

გუნდის უფროსი — სპორტის ოსტატი დ. კავთელაშვილი.

უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. ნოდია.

მწვრთნელები — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი კ. ხურციძე, თ. კოხრეიძე.

მეკარეები — გ. მიქაძე (1965 წ. დაბადებული), ზ. რუხაძე (1965), ჯ. ტყებუჩავა (1959).

მცველები — გ. გიგატაძე (1964), ლ. დოჩია (1960), თ. კოსტავა (1956), ვ. კურტანიძე (1958), ს. ფრუიძე (1957), გ. თავაძე (1955), ნ. ჰელიძე (1964).

ნახევარმცველები — რ. ბურკაძე (1956), გ. ჯოხაძე (1959), ო. კორღალიძე (1960), კ. კერესელიძე (1960), თ. ლოგუა (1964), ნ. თვარაძე (1960).

თავდამსხმელები — გ. ვასაძე (1961), ა. კვერნაძე (1958), ა. კერესელიძე (1961), მ. მანაგაძე (1965), მ. მეგრელაძე (1956), ბ. თვალაბეიშვილი (1960), ვ. შენგელია (1963).

„გურია“ (ლანჩხუთი)

გუნდის უფროსი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი გ. დუნდუა.

უფროსი მწვრთნელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შ. კაკაბაძე.

მწვრთნელები —ბ. სიხარულიძე, ნ. ნარიაშვილი.

მეკარეები — გ. იმნაძე (1955), კ. მჭედლიძე (1957).

მცველები — ს. ახალბედაშვილი (1964), გ. გილიგაშვილი (1960), ხ. ქასრაშვილი (1962), ე. კუპრაძე (1964), ლ. მელიქია (1955), დ. სანიკიძე (1965), ნ. სარჯველაძე (1964), თ. ცნობილაძე (1960).

ნახევარმცველები — ვ. კოპალეიშვილი (1954), ა. ნარიაშვილი (1961), მ. თევზაძე (1964), მ. ხურცილავა (1957), ბ. წიკლაური (1962), თ. ჩხაიძე (1955), თ. ებანოიძე (1957).

თავდამსხმელები — დ. ვერულაშვილი (1958), ბ. ფრიდონიშვილი (1961), გ. ტყებუჩავა (1963), დ. უგრელიძე (1964), რ. წილოსანი (1967).

„დინამო“ (ბათუმი)

გუნდის უფროსი—სპორტის ოსტატი ა. კვაჰაძე.

უფროსი მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ვ. ჩხარტიშვილი.

მწვრთნელები — სპორტის ოსტატი ი. ფროლოვი, თ. ცინარიძე.

მეკარეები — ი. მამინაშვილი (1957), დ. კუცია (1964).

მცველები — ა. ანდღულაძე (1957), ლ. ბაბულეიშვილი (1961), დ. ბურკაძე (1963), ა. გოგიტიძე (1964), ე. კაკაბაძე (1956), ჯ. მენაბდე (1958), გ. პაიჭაძე (1967), ნ. სვიმონიშვილი (1961), ხ. წუწუნავა (1956), ვ. შანიძე (1965), ტ. დურდიაძე (1959).

ნახევარმცველები — ა. ატუაშვილი (1963), გ. კედელაძე (1963), მ. ლაშხი (1962), ე. ტიკარაძე (1958), ზ. თოფურია (1961), რ. შაკიროვი (1957), გ. ბაბუნიძე (1957), მ. სანიკიძე (1960).

თავდამსხმელები — ა. გორგილაძე (1955), გ. ზედანია (1961), თ. გელაჰეიშვილი (1959), რ. ჩელებაძე (1955).

გუნდების შემადგენლობანი ქვეყნდება სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს 1984 წლის 5 აპრილის მონაცემებით.

ფსიქოლოგიური სიმტკიცის უკმარობაც

ძნელია მანუგეშებელი სიტყვა ან გამართლება მოუძებნო გუნდს, რომელიც საკუთარ მინდორზე დიდი ანგარიშით აგებს. საქმეს ცოტას შველის ის გარემოება, რომ შენი მეტოქე ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო საფეხბურთო კოლექტივია და მაინც: არა ერთი და ორი ქომაგის რისხვის მიუხედავად შევეცდები რამდენადმე შევარბილო ის დამთრგუნველი ზემოქმედება, გუშინდელმა მატჩმა რომ მოახდინა. ეს შთაბეჭდილება ფაქტიურად მეორე ტაიმმა შექმნა, არადა, შეხვედრის ბედი, შეიძლება ითქვას, რომ მანამდე გადაწყდა.

თბილისის „დინამომ" მატჩი პირველსავე ტაიმში წააგო, იმ ორმოცდახუთ წუთში, როცა მასპინძელთა უპირატესობაზე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, თანაბარი ძალის გუნდების ბრძოლაზე მაინც შეიძლებოდა საუბარი.

ტერიტორიული უპირატესობის თვალსაზრისითაც, ბურთის ფლობის ხანგრძლივობითაც, საგოლე სიტუაციების სიუხვითაც თბილისელებს ტოლი არ დაუდიათ მეტოქისათვის, ორი უპასუხო ბურთი კი გაუშვეს. უთუოდ აქ არის საჭირო მარცხის მიზეზის მოძებნაცა და მისი შემამსუბუქებელი გარემოების აღნიშვნაც, თორემ, თუ მარტო შთაბეჭდილებას ავყევით, ისე გამოვა, რომ საერთოდ არ გვყოლია გუნდი. შეიძლება ცოტა უხერხულიც იყოს, მაგრამ ბარემ აქვე ვიტყვი: ტაიმის პირველი ხუთი წუთის გამოკლებით თბილისელები საკმაოდ საინტერესოდ თამაშობდნენ. სამწუხაროდ, ამ კარგ თამაშს გოლი არ მოჰყვა, ბურთი ხან ოდნავ ცდებოდა კარს, ერთხელ ძელსაც მოხვდა, მაგრამ ცნობილი ინგლისელი მწვრთნელის რამსეის თქმისა არ იყოს, ბურთის ძელისთვის მოხვედრება ცუდი დარტყმის ერთ-ერთი ნაირსახეობაა.

ახლა უშუალოდ მარცხის მიზეზზე.

სამივე გოლი სტუმრებმა სწრაფი კონტრიერიშის შემდეგ გაიტანეს. იქნებ ცოტა უცნაურიც იყოს, მაგრამ მასპინძელთა კართან საავდრო ღრუბლებმა მაშინ მოიყარეს თავი, როცა თბილისელთა იერიშები განსაკუთრებით გაძლიერდა. როსტოვში წაგების შემდეგ „დინამოს" ხელმძღვანელობას სწორედ ის აფიქრებდა, რომ საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციის სურვილს გუნდი გაუმართლებელ აზარტამდე არ მიეყვანა. სამწუხაროდ, კიეველებთან საკმაოდ სოლიდურად დაწყებული მატჩი მერე და მერე წინდაუხედავ თამაშში გადაიზარდა და საზღაურმაც არ დააყოვნა — სტუმართა ორი სწრაფი შეტევა ბურიაკის ორი გოლით დასრულდა.

უთუოდ ღირს შეჩერება ერთ საინტერესო გარემოებაზე: თამაში ორივე გუნდმა საკმაოდ ცნობილი სქემით დაიწყო, მაგრამ თუ თბილისელთა ინტერპრეტაციაში ამ სქემას მექანიკური ელფერი დაჰკრავდა, კიეველებმა შესაშური ურთიერთდაზღვევა და ურთიერთმონაცვლეობა გამოამჟღავნეს. ცენტრალური მცველების ბალტაჩასა და ჟურავლიოვის გარდა, კიევის „დინამოს" ნებისმიერი ფეხბურთელი მინდვრის ნებისმიერ წერტილში შეიძლებოდა გენახათ. ამ მატჩში სამაგალითო იყო სტუმართა, ეგრეთ წოდებული, უბურთოდ თამაშიც.

და ბოლოს, დავარღვევ ტრადიციას და დამარცხებული გუნდიდან აღვნიშნავ ორი ფეხბურთელის — ჩივაძისა და ცაავას თამაშს. ისინი ნამდვილად საუკეთესონი იყვნენ თბილისელთა შორის. რაღა თქმა უნდა, ეს ძალზე ცოტაა კარგი გუნდისთვის, ისევე როგორც ფსიქოლოგიური სიმტკიცის უკმარობა, ერთობ შესამჩნევად რომ გასდევდა მასპინძელთა თამაშს მთელი მეორე ტაიმის მანძილზე.

ირაკლი ბერიაშვილი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

გივი ჩოხელი, თბილისელთა გუნდის უფროსი: „ეს დამარცხება, თუ გავითვალისწინებთ კიეველთა კართან შექმნილ არაერთ სახიფათო მომენტს, უიღბლობასაც შეიძლება დავაბრალოთ. მაგრამ ეს მთლად სწორი არ იქნება. უნდა ვაღიაროთ, რომ კიეველებმა გვაჯობეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ამჟამად ჩვენი ძირითადი პრობლემა დაცვის შეუთანხმებელი თამაშია. დღევანდელ შეხვედრაში კი სუსტად გამოიყურებოდა ნახევარდაცვაც, რომელიც რიგიანად ვერც მცველებს დაეხმარა და ვერც თავდამსხმელებს. ყველა ამ ხარვეზმა ძლიერ მეტოქესთან მატჩში აშკარად იჩინა თავი. აქედან ჩვენ სათანადო დასკვნების გამოტანა გვმართებს და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსასწორებლად. ერთი რამ უდავოა: თანამედროვე ფეხბურთში წარმატებას აღწევს ის, ვინც საგოლე მომენტებს იყენებს და არა ის, ვინც ამ მომენტებს ქმნის".

მიხაილ კომანი, კიევის „დინამოს" გუნდის უფროსი: „ქართველ ფეხბურთის გულშემატკივრებს ალბათ უკვე მობეზრდათ იმის მოსმენა, რომ თბილისელები თაობათა ცვლის პროცესში არიან, რომ გუნდში პერსპექტიულმა ახალგაზრდობამ მოიყარა თავი, რომ თანდათან ყველაფერი გამოსწორდება. და მაინც, დარწმუნებული ვარ, ეს მართლაც ასეა. ისეთი მძიმე პერიოდი, როგორიც ახლა თბილისის „დინამოს" დაუდგა, დროდადრო ყველა გუნდს დარევს ხოლმე ხელს. კიეველებიც ხშირად ყოფილან ამ დღეში. ამიტომ, ჩემის აზრით, უნდა მოთმინება მოვიკრიბოთ. რაც შეეხება თანაკლუბელთა მატჩს, კიეველებმა თამაშის ორგანიზაციით აჯობეს მასპინძლებს. მათ, მართალია, შუა მინდორი დაუთმეს თბილისელებს, მაგრამ ბურთს უფრო ხშირად ფლობდნენ. ჩვენთვის კი სწორედ ეს იყო მთავარი. მასპინძლები ტემპერამენტიანად, მეტად სახიფათოდ უტევდნენ ჩანოვის კარს, მაგრამ ხშირად მეტისმეტად ერთობოდნენ და საკუთარი ზურგის გამაგრება ავიწყდებოდათ, რითაც კიეველებმა შესანიშნავად ისარგებლეს".

დ. ქ.

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის V ტურის კალენდარული მატჩები:

„მეტალისტი" — „დინამო" მ. 2:1
„არარატი" — ასკ. რ. 1:2
„ნეფთჩი" — „ჩერნომორეცი" 2:1
„ტორპედო" — „ჟალგირისი" 0:0
„ქაირათი" — „ზენიტი" 1:1

სტადიონიდან — მოგებული ავტომობილით

„ერთგულების ლატარიის" ტირაჟმა, რომელიც გუშინ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონზე კიეველ და თბილისელ თანაკლუბელთა შეხვედრის ტაიმებს შორის გაიმართა, გამოავლინა იმ ბედნიერი ბილეთების მფლობელები, რომლებსაც მოგება ხვდათ წილად.

ავტომანქანა „ვაზ 21013" მოიგო თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანემ დურმიშხან შენგელიამ, ხოლო „ვაზ 2106" ლატარიის მომგებიანი ბილეთი წარადგინა ალექსანდრე კიკნაძემ, რომელიც თბილისის ბაქტერიოფაგის განყოფილების გამგედ მუშაობს. ეტლიანი მოტოციკლები გადაეცათ „თბილმრეწვმშენის" № 3 ტრესტის ინჟინერს აკაკი ოდიშარიას და თბილისის წყალსადენის სადგურების გაერთიანების უფროს ინჟინერს თამაზ თავბერიძეს.

მომგებიანი ბილეთების პატრონები, გარდა ერთისა, უმალვე გახდა ცნობილი.

— მე, როგორც თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი, სტადიონზე პირველ ყოვლისა, ფეხბურთის საყურებლად ვიყავი მოსული და დიდი სიხარულის მიუხედავად მატჩის დამთავრებამდე ფეხი არ მომიცვლია ტრიბუნიდან — უთხრა ჟურნალისტებს ალექსანდრე კიკნაძემ.

დილა მშვიდობისა, მკითხველო! შენ ალბათ უკვე მზადა ხარ ჯანმრთელობის, ფიზკულტურის დღესასწაულისთვის. დღეს შენი მასპინძელი იქნება თბილისის უკლებლივ ყველა სპორტული ბაზა, პარკი და ხეივანი. სპორტის მუშაკებმა, უკვე ტრადიციადქცეული ღონისძიების ორგანიზატორებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ აქტიური დასვენების ყველა მსურველისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შეექმნათ. მაგრამ, დაგვეთანხმები, შენი მონდომებისა და თანადგომის გარეშე არაფერი გამოვა. შენ უნდა გადადგა ნაბიჯი მაცდური უმოძრაობიდან აუცილებელი მოძრაობისაკენ, შენი კოლექტივის, ოჯახის წევრებთან ერთად უნდა გამოხვიდე სპორტულ სარბიელზე, გაიკაჟო სხეული და სული.

არ არის ისეთი საქმე, რომელსაც მაქებარი და მძაგებელი არ ჰყავდეს. ალბათ გახსოვს, ჯანმრთელობის სახალხო დღესასწაულის იდეა რომ ჩაისახა, ზოგიერთებმა ეჭვით შეხედეს ამ საშურ წამოწყებას. აქაოდა, ასეთი სახელდახელო ღონისძიება სასურველ შედეგს ვერ გამოიღებსო. მოხდა კი პირიქით; თბილისის ქუჩებში, სპორტულ მოედნებზე გამოსული ასი ათასი კაცი იყო ამის დასტური. იმ დღეებში ბევრი ახალი მეგობარი შეიძინა ფიზკულტურამ და სპორტმა. გამაჯანსაღებელი რბენა, ვარჯიში, თამაშობა ბევრისთვის ყოველდღიური ცხოვრების წესად იქცა.

...და აი, დღეს კვლავ გვიხმობს სპორტული სარბიელი, ტურისტული ბილიკები, გვიხმობს გაზაფხულის, სიჭაბუკის დღესასწაული.

სად, რა

და რა დროს

ორჯონიკიძის რაიონი
(10-13 ს.)

კუს ტბა — იალქნიანი ნავებით საჩვენებელი გამოსვლები, მინი ფეხბურთი, ტურისტული ლაშქრობა, მძლეოსნური კროსი, კრივი და ფარიკაობა; **მიკრორაიონების სპორტული ბაზები** — მინი ფეხბურთი.

ლენინის რაიონი
(10-13 ს.)

თბილისის ზღვის ტერიტორია — სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა, ფრენბურთი, მძლეოსნური კროსები; **კუს ტბიდან მთაწმინდის პლატოს მიმართულებით** — ტურისტული ლაშქრობა; **მთაწმინდის პლატო** — მასობრივი შეჯიბრებები; **ოქტომბრის ქუჩის სპორტული მოედნები** — მინი ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ბაგირის გადაძალვა, სიმძიმეების აწევა, მაგიდის ჩოგბურთი; **კიკვიძის სახელობის პარკი** — მასობრივი შეჯიბრებები; **სანზონის სპორტული ბაზები** — კალათბურთი, ჩოგბურთი, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა; **თემქის დასახლება** — მასობრივი შეჯიბრებები, ლახტი.

1 მაისის რაიონი (10-12 ს.)

ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი — მინი ფეხბურთი, რბენები, ბავშვთა შეჯიბრება ველოსიპედებით, ერთდროული სეანსი ჭადრაკში, სიმძიმეების აწევა, ბაგირის გადაძალვა; **დიღმის ტყე-პარკი** — მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში; **დიღმის მასივის სპორტული ბაზები** — მინი ფეხბურთი, სიმძიმეების აწევა, მძლეოსნობა.

გლდანის რაიონი (8-12 ს.)

ტურისტული ლაშქრობა: თბილისი — ცხვარიჭამია, **მიკრო რაიონების სპორტული ბაზები** — ქართული ჭიდაობა, ველოგადარბენა, ფეხბურთი, მასობრივი შეჯიბრებები.

საბურთალოს რაიონი
(11-12 ს.)

იპოდრომი — ლახტი, მასობრივი კროსები, რბენები, სიმძიმეების აწევა; **მიკრორაიონების სპორტული ბაზები** — მინი ფეხბურთი, კალათბურთი.

ოქტომბრის რაიონი (12 ს.)

თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკი — მასობრივი შეჯიბრებები; **ორჯონიკიძისა და ცხრა იანვრის ქუჩის სპორტული მოედნები** — მინი ფეხბურთი.

კალინინის რაიონი
(11-12 ს.)

მთაწმინდის პლატო — მძლეოსნური კროსები; **კიროვის პარკი** — მინი ფეხბურთი.

საქარხნო რაიონი (10-11 ს.)

კიკეთი — ტურისტული ლაშქრობა; **აეროპორტის დასახლება და საცხოვრებელი მასივების სპორტული მოედნები** — მასობრივი შეჯიბრებები.

კიროვის რაიონი (11 ს.)

კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე — ტურისტული ლაშქრობა; **158-ე საშუალო სკოლის სპორტული კომპლექსი** — ფეხბურთი „ტყავის ბურთის პრიზზე"; **კრწანისი** — მასობრივი შეჯიბრებები;

26 კომისრის სახელობის
რაიონი (11 ს.)

მიკრორაიონების სპორტული ბაზები — მასობრივი შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, „იმედის სტარტები", ქართული ჭიდაობა.

ინფორმაცია

ტელეფონის ხაზზეა შამპინი-სიურ-მარნი

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა საფრანგეთის ქალაქ შამპინი-სიურ მარნის, სადაც მიმდინარეობს მსოფლიო პირველობა 16 წლამდე მოჭადრაკე გოგონებს შორის. ტელეფონთან მოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი ნონა გაფრინდაშვილი.

— ტურნირში ბევრი ნიჭიერი მოჭადრაკე მონაწილეობს, — თქვა ნონამ. — შვეიცარიული სისტემით გამართულმა 11 ტურმა ჩემპიონი უნდა გამოავლინოს. 4 ტურის შემდეგ ლიდერობს 13 წლის უნგრელი მოჭადრაკე ლიდიკო მადლი — 4 ქულა. ბოლოს მან ლაგვილავას მოუგო, თუმცა თავიდან პერსპექტიული პოზიცია ჩვენს მოჭადრაკეს ჰქონდა. ლაგვილავას 2,5 ქულა აქვს.

მიზანს ნახევარი ქულა აშორებს

გუშინ ვილნიუსში ვ. სმისლოვმა და გ. კასპაროვმა გაითამაშეს მატჩის მე-12 პარტია. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ მე-40 სვლაზე გაიმარჯვა კასპაროვმა. ანგარიშია 8:4 (+4=8) ბაქოელი დიდოსტატის სასარგებლოდ. მორიგი, მე-13 პარტია 9 აპრილს გაიმართება.

ვირსმა ისევ ლიდერობს

ქალაქ ფალკენბერგში (ჰოლანდია), ასუჯრიან შაშში ვაჟთა მსოფლიო პირველობის მატჩის მეთოთხმეტე პარტიაც ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, ლიდერობს ისევ ჰ. ვირსმა — 7,5:6,5 (+1=13). სათამაშო დარჩა 6 პარტია.

მშვენიერაძის ხუთი გოლი

სტოკჰოლმი. შვეციის დედაქალაქის საცურაო აუზში ხუთი გუნდის მონაწილეობით დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. საბჭოთა წყალბურთელებმა მოუგეს დიდი ბრიტანეთის ნაკრებს — 19:8 (4:2, 3:1, 5:2, 7:3). საბჭოთა გუნდში ყველაზე შედეგიანი იყო მოსკოველი გიორგი მშვენიერაძე, რომელმაც მეტოქის კარში ხუთი ბურთი გაიტანა.

კომპიუტერიც ასეთი უნდა

იტალიელმა მეცნიერებმა, როგორც მილანის ყოველკვირეული „პანორამა" იუწყება, ხანგრძლივი ძიების შემდეგ შექმნეს უნივერსალური კომპიუტერი „ელიტა". ახალი აპარატურა დიდი სიზუსტით აფიქსირებს და აანალიზებს სპორტსმენის მოძრაობის ცალკეულ ფაზებს. მაგალითად, კომპიუტერს უნარი შესწევს განსაზღვროს კუნთების რეაქციის დრო, სახსრების მოხრისა და გაშლის სიჩქარე; კუნთების დატვირთვის ძალა, ახსნას მოძრაობათა მექანიზმი, რაც ესოდენ აუცილებელია მწვრთნელისა და სპორტსმენისათვის.

სპორტულ ექიმებს, ორთოპედებსა და ნევროლოგებს „ელიტა" დაუყოვნებლივ აწვდის სიგნალს სპორტსმენის ორგანიზმში მომხდარ ცვლილებებზე, მიუთითებს უხილავ ტრავმებზე, ეხმარება დიაგნოზის ზუსტად და სწრაფად განსაზღვრაში.

ახალმა აპარატურამ წარმატებით ჩააბარა პირველი გამოცდა — „თვალი მიადევნა" მსოფლიო ჩემპიონს 10000 მეტრზე რბენაში ალბერტო კოვის, იტალიის ჩემპიონს 5000 და 10000 მეტრზე რბენაში ვენანციო ორტისს, იტალიის რეკორდსმენს 800, 1500 და 3000 მეტრზე რბენაში გაბრიელა დორიოს, ტანმოვარჯიშე ჯული სტაჩოლის მეცადინეობის პროცესს და ბევრი სასარგებლო რჩევა მისცა მწვრთნელებს.

„სპორტლოტო"

გუშინ მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-14 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 20 (აფროსნობა), 37 (საავტომობილო სპორტი), 38 (აკრობატიკა), 46 (ჩოგბურთი).

„სპორტლოტო 5 36"-დან: 11 (ფრენბურთი), 12 (ტანვარჯიში), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 25 (ციგაობა), 30 (ძალოსნობა).

რედაქტორი ა. გოგელია.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22
ИНДЕКС 66435
უე 05871